# NEET ახალგაზრდების საჭიროებებზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების გაძლიერება საქართველოში

## პოლიტიკის დოკუმენტი


ავტორი: სოფიკო მუშკუდიანი

ჯულიეტა ბერაია

სალომე დოლიძე



2024

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორობის გაძლიერებისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი (CSD). მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის და CSD-ის შეხედულებებს.

## სარჩევი


რეზიუმე.....3

პრობლემის მნიშვნელობა..... 4

პრობლემის აღწერა.....6

მუნიციპალური პროგრამების ანალიზი.....7

ძირითადი აქტორების/დაინტერესებული მხარეების აღწერა.....8

ალტერნატივების ანალიზი.....9

დასკვნა და რეკომენდაციები.....15

ბიბლიოგრაფია.....17

დანართი 1. დიაგრამები.....18

დანართი 2. საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან მიღებული კვლევისას გამოყენებული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები .....19

## რეზიუმე


წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული და განხორციელებული ახალგაზრდული პროგრამების გაანალიზებას და რეკომენდაციების შეთავაზებას, რომლებიც უზრუნველყოფს NEET ახალგაზრდების (განათლების, დასაქმებისა და ტრენინგის მიღმა მყოფი) საჭიროებებზე ორიენტირებული პროგრამების განვითარებას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემებით, 15-29 წლის NEET ახალგაზრდების წილი 27%-ია (იხ. დანართი, დიაგრამა 1). NEET ახალგაზრდებს ხშირად აქვთ განათლებისა და დასაქმების კუთხით დამატებითი საჭიროებები, რაც ართულებს მათ სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას. მუნიციპალური პროგრამები ვერ აკმაყოფილებს ამ ჯგუფის სპეციფიკურ მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. 63 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 15-ს (მუნიციპალიტეტების 24%-ს) აქვს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი (სტრატეგია და/ან სამოქმედო გეგმა), ხოლო NEET ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინება უმეტეს პროგრამებში არ ხდება. მხოლოდ ოთხ მათგანშია ნახსენები ამ სტატუსის ახალგაზრდები და მათგან მხოლოდ ერთი განიხილავს ამ პრობლემას საფუძვლიანად.

პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია სამი ალტერნატივა, რომლებიც მიზნად ისახავს NEET ახალგაზრდების პრობლემების გადაწყვეტას: ახალგაზრდული გარანტიის პროგრამა, სწავლის მოქნილი ვარიანტები და ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება.

ალტერნატივების შეფასება განხორციელდა მულტიფაქტორული ანალიზის საფუძველზე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ეფექტურობა, განხორციელებადობა, გავრცელებადობა, მდგრადობა, ინკლუზიურობა და დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა.

ანალიზის შედეგად საუკეთესო ალტერნატივად ახალგაზრდული გარანტიის პროგრამა გამოვლინდა, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემის მრავალმხრივ გადაწყვეტას და პასუხობს NEET ახალგაზრდების მთავარ გამოწვევებს – განათლებას, დასაქმებას და სოციალურ ინკლუზიას. ამ პროგრამის ქართულ რეალობაში ადაპტირება და მისი განსახორციელებელი სტრატეგიები მოიცავს მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის გაძლიერებას, ასევე, კერძო სექტორის ჩართულობასა და ახალგაზრდების დასაქმების მხარდასაჭერად ეფექტური ნაბიჯების გადადგმას.

დოკუმენტის დასასრულს წარმოდგენილია განტის სქემის მეშვეობით პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა და შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგია.

## პრობლემის მნიშვნელობა

ახალგაზრდების გაძლიერებისა და მათი აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა საერთაშორისო დონეზე პრიორიტეტულია, რაც ასახულია ისეთ საერთაშორისო დოკუმენტში, როგორიცაა გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) და ახალგაზრდული სტრატეგია (Youth, 2030). ამასთან, ევროპის საბჭოს რეკომენდაცია (CM/Rec, 2015) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, რაც ითვალისწინებს დაუცველი ახალგაზრდებისთვის განათლების, დასაქმების, საცხოვრებლისა და ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. ანალოგიურად, ევროკავშირის ახალგაზრდული სტრატეგია ახალგაზრდების ჩართულობასა და გაძლიერებაზეა ფოკუსირებული და მხარს უჭერს პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში.

ევროპის საბჭოს 2016 წლის რეკომენდაციის თანახმად, ახალგაზრდული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებებს, დემოკრატიულ სტანდარტებს, ცოდნასა და მტკიცებულებებს. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ახალგაზრდული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს შესაძლებლობების შექმნაზე, სწავლასა და გამოცდილების მიღებაზე, ხოლო მასში მკაფიოდ უნდა აღინიშნებოდეს არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის როლი. ასევე, მნიშვნელოვანია სექტორების თანამშრომლობა და ახალგაზრდებთან დიალოგის საჭიროება (ახალგაზრდობის სააგენტო, 2021).

მიუხედავად ამ სტრატეგიული დოკუმენტების და რეკომენდაციების არსებობისა, ბოლო ათწლეულებში ე.წ. NEET ახალგაზრდების საკითხი კვლავაც ახალგაზრდული პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე და ჯერ კიდევ არ არსებობს ყოვლისმომცველი მიდგომა ეფექტური პოლიტიკის შესამუშავებლად. კვლევით ნაშრომებშიც NEET ახალგაზრდებისთვის გამოყენებული კონცეფცია არის ზოგადი და არ იძლევა საშუალებას დავინახოთ სამიზნე ჯგუფის ჰეტეროგენულობა. აღნიშნულმა საკითხმა შეიძლება გამოიწვიოს არაეფექტური პოლიტიკა, რომელიც არ პასუხობს სხვადასხვა ქვეჯგუფის სპეციფიკურ საჭიროებებს (Sergi et al., 2018; Cabasés Piqué et al., 2016). NEET ახალგაზრდების უნიკალური გამოცდილების გაგება გადამწყვეტია ეფექტური პოლიტიკის შემუშავებისთვის (Poštrak et al., 2020). NEET ახალგაზრდები არ არის ერთგვაროვანი ჯგუფი. ისინი განსხვავდებიან მრავალი ასპექტით, როგორიცაა ასაკი, ინტერესები, სოციალური მდგომარეობა, განათლების დონე და სხვა (Sergi et al., 2018; Cabasés Piqué et al., 2016). მათ მრავალფეროვანი და განსხვავებული მახასიათებლები აქვთ, შესაბამისად, საჭიროა ჰოლისტური მიდგომა, რომელიც გაითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებსა და უნარებს. მხარდაჭერის ეფექტური სტრატეგიები უნდა ითვალისწინებდეს ამ მრავალფეროვნებას და მორგებული იყოს თითოეული ინდივიდის უნიკალურ გარემოებებზე. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების დონეზე იქნეს გამოკვლეული ამ ახალგაზრდების გამოცდილება ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინების მიზნით. თუმცა, როგორც საქართველოს მუნიციპალიტეტებში სიტუაციის ანალიზმა აჩვენა, ამ ჯგუფზე აქცენტირება ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდება – მუნიციპალიტეტების მოქმედი ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტებიდან მხოლოდ ოთხ დოკუმენტში (მოქმედი დოკუმენტების დაახ. მეოთხედში) არის ნახსენები NEET ახალგაზრდები.

ბევრმა ახალგაზრდამ იცის NEET სტატუსის პრობლემური ბუნება, ამიტომაც თავს არიდებს მასთან იდენტიფიკაციას. ამ ფენომენს "ფარული NEET" უწოდეს, რაც ნიშნავს, რომ ინდივიდები ანორმალიზებენ თავიანთ სტატუსს, რათა თავიდან აიცილონ სტიგმატიზაცია (Reiter and Schlimbach, 2015). გარდამავალი გამოცდილება ხშირად განიხილება ასაკობრივი კოჰორტებისა და გენდერული ხარვეზების თვალსაზრისით, რაც ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ მოქმედებს ახალგაზრდების თვითაღქმა და სტატუსის ნორმალიზება მათი დაძლევის სტრატეგიებზე (Magure, 2010; Görlich and Katznelson, 2018). აქედან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშნელოვანია მუნიციპალური სამსახურების როლი NEET სტატუსის ცნობადობის ასამაღლებლად ახალგაზრდებში, რაც მოითხოვს ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას, რათა მოხდეს ზუსტი მონაცემების შეგროვება და ინტერდისციპლინარული მიდგომის დანერგვა, რომელიც გაითვალისწინებს ახალგაზრდების ინდივიდუალურ საჭიროებებს და შექმნის მათთვის მოქნილ და ინკლუზიურ გადაწყვეტილებებს (Batini et al., 2017; Quintano et al., 2018).

ახალგაზრდების მიერ თავისუფალი დროის აღქმის ცვლილებები გავლენას ახდენს მათ იდენტობასა და დაძლევის მექანიზმებზე. დროის დაგეგმვის სირთულეებმა და ავტონომიის ნაკლებობამ, როგორიცაა ბავშვებზე ზრუნვა, შეიძლება გაართულოს მათი ჩართულობა დამხმარე სისტემებთან (Gaspani, 2019; Moreno-Colom et al., 2020). ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემურია ეს საკითხი საქართველოში, სადაც ქალის როლი ტრადიციულად ფოკუსირებული იყო უმეტესად დიასახლისის სტატუსზე, რაც აფერხებს მათ გააქტიურებას განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების თუ შრომის ბაზარზე ჩართვის თვალსაზრისით.

წინა დასაქმება შესაძლოა დადებითად მოქმედებდეს თვით ეფექტურობაზე, მაგრამ უმუშევრობის ხანგრძლივი პერიოდი საპირისპირო ეფექტს იძლევა. სამუშაო შესაძლებლობების გაუმჯობესება გადამწყვეტია NEET ახალგაზრდებში თვით ეფექტურობის გასაძლიერებლად (Simões et al., 2017). ამასთან, გრძელვადიანმა NEET სტატუსმა, რაც თავის მხრივ ეკონომიკური სირთულეების განმაპირობებელია, შეიძლება გამოიწვიოს არაჯანსაღი ცხოვრების წესის არჩევანი და ჯანდაცვის სერვისების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რაც უარყოფითად მოქმედებს ფიზიკურ ჯანმრთელობაზე (მათ შორის, გამოიწვიოს შემცირებული ფიზიკური აქტივობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და ნივთიერებების ბოროტად გამოყენების მაღალი რისკები გააჩინოს) (Stewart et al., 2017; Nordenmark et al., 2015; Davison et al., 2015; Höld et al., 2018; Hammarström და Ahlgren, 2019; Manhica et al., 2019).

საყურადღებოა, რომ მხოლოდ მოტივაციის არსებობა არ არის საკმარისი NEET სტატუსის დასაძლევად, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, სადაც იცვლება შრომის ბაზარი და განათლების პოლიტიკა (Katznelson, 2017). ადრეული უნარების შეძენა ასოცირდება უკეთეს შედეგებთან და დაცვასთან სოციალური გარიყულობისგან (Barth et al., 2021).ახალგაზრდების მობილობის მხარდაჭერა აუცილებელია მათი რეინტეგრაციისთვის განათლებასა ან დასაქმებაში (Anne et al., 2020b).

## პრობლემის აღწერა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემებით, 15-29 წლის NEET ახალგაზრდების წილი ამავე ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებში 27%-ია (იხ. დანართი, დიაგრამა 1). აღსანიშნავია, რომ განათლებისა და დასაქმების მიღმა დარჩენილ ახალგაზრდებში უფრო მაღალი წილი - 31% ქალებზე მოდის, მამაკაცების წილი კი 23%-ს შეადგენს. მსგავსი ტენდენცია ვლინდება წინა წლების შემთხვევაშიც (იხ. დანართი, დიაგრამა 1). თუ 2022 წლის მონაცემებს შევადარებთ გლობალური მასშტაბით მოცემულ შესაბამის მონაცემებს, საქართველოს მონაცემები მსგავსი შემოსავლის მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს ჩამორჩება (იხ. დანართი, დიაგრამა 2), რაც პრობლემის სიმწვავეზე მიუთითებს.

NEET ახალგაზრდებს ხშირად აქვთ დამატებითი საჭიროებები როგორც განათლების, ისე დასაქმების მიმართულებით. ისინი ხშირად არ ფლობენ საჭირო უნარებსა და კვალიფიკაციას, განიცდიან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, აქვთ შეზღუდული სამუშაო გამოცდილება ან ეკონომიკური სირთულეები, რაც ხელს უშლის მათ განათლებასა და დასაქმებაში ჩართვას. ამასთან, ამ ჯგუფში პრობლემას მოტივაციის დაბალი დონე წარმოადგენს, რადგან NEET ახალგაზრდებს ხშირად არ აქვს საკმარისი სტიმული და მხარდაჭერა პერსონალური და პროფესიული განვითარებისთვის. ახალგაზრდების NEET კატეგორიაში ყოფნა ნეგატიური გავლენას ახდენს მათ შემდგომ ცხოვრებაზე, შესაბამისად, ადრეული ჩარევები მნიშვნელოვანია (Eurofound, 2016).

გლობალურ ტენდენციას თუ საქართველოში NEET ახალგაზრდების წილს შევადარებთ, ნათლად ჩანს, რომ საქართველოში NEET ახალგაზრდების რაოდენობა მაღალია მსგავსი შემოსავლის მქონე ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით (იხ. დანართი, დიაგრამა 1 და დიაგრამა 2). ამ ახალგაზრდების უმეტესობა ვერ უზრუნველყოფს განათლების, დასაქმების და სოციალური ინტეგრაციის ეფექტურ შესაძლებლობებს. არსებული მუნიციპალური პროგრამები, ძირითადად, ვერ აკმაყოფილებს NEET ახალგაზრდების სპეციფიურ საჭიროებებს, რაც ქმნის სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს (Poštrak et al., 2020; Sergi et al., 2018; Cabasés Piqué et al., 2016).

ვინაიდან საქართველოში NEET ახალგაზრდების ჰეტეროგენულობის თავისებურებების ჩაღრმავებული კვლევა არ ჩატარებულა, მსჯელობა მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილების განზოგადების საფუძველზეა შესაძლებელი. ამ ჯგუფის ჰეტეროგენულობა მიუთითებს (Sergi et al., 2018; Cabasés Piqué et al., 2016), რომ NEET ახალგაზრდებს სხვადასხვა საჭიროებები აქვთ, რომლებიც რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვითაც კი განსხვავდება. ეს ნიშნავს, რომ მათ პრობლემებზე რეაგირება განსხვავებულ და მიზნობრივ მიდგომებს მოითხოვს, რაც დამოკიდებულია კონკრეტული მუნიციპალიტეტების რესურსებზე.

სახელმწიფო პოლიტიკა, კერძოდ, 2023-2026 წლების ახალგაზრდული სტრატეგია, მიზნად ისახავს NEET ახალგაზრდების რაოდენობის შემცირებას და მათ ეკონომიკურ გაძლიერებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ხარისხიანი დასაქმების შესაძლებლობების შექმნასა და ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდაჭერაზე. თუმცა, მუნიციპალურ დონეზე არსებული შესაძლებლობების შესწავლა და მათი ანალიზი გადამწყვეტია ამ მიზნების მისაღწევად.

## მუნიციპალური პროგრამების ანალიზი

NEET ახალგაზრდების მიმართ მუნიციპალური პოლიტიკის შესწავლის მიზნით ავტორთა ჯგუფის მიერ 63 მუნიციპალიტეტიდან იქნა ინფორმაცია გამოთხოვილი. მათგან 43-მა მუნიციპალიტეტმა (68%) გასცა პასუხი წერილს. ამასთანავე, გაანალიზებული იქნა ყველა მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამა. მათ შორის იმ მუნიციპალიტეტების პროგრამებიც, რომელთაც კვლევის ფარგლებში გაგზავნილ წერილს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე არ გასცეს პასუხი. ასევე, გაანალიზდა იმ მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების საშუალოვადიანი (4-წლიანი) გეგმებიც, რომელთა დოკუმენტების მოძიებაც შესაძლებელი იყო ელექტრონული საძიებო სისტემით. ანალიზი ხაზს უსვამს ძირითად პრაქტიკებს, გამოწვევებს და სამომავლო გეგმებს NEET ახალგაზრდების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალურ დონეზე NEET ახალგაზრდების საჭიროებების გამოკვლევამ გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია:

- **მუნიციპალური სტრატეგიები:** 63 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 15-ს ანუ 24%-ს აქვს შემუშავებული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი (სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა). ამასთან, 7 მუნიციპალიტეტში (11%) ამჟამად მიმდინარეობს სტრატეგიის შემუშავება, 15 მუნიციპალიტეტი (24%) გეგმავს მის შემუშავებას მომავალში, ხოლო 6 მუნიციპალიტეტის საპასუხო წერილიდან გამომდინარე ისინი არ გეგმავენ სტრატეგიის შემუშავებას ახლო მომავალში. აღსანიშნავია, რომ არსებული სტრატეგიები ნაკლებად ფოკუსირებულია NEET ახალგაზრდების საჭიროებებზე, მხოლოდ 4 მუნიციპალიტეტის დოკუმენტში არის აღნიშნული ეს ჯგუფი.
- **მიზნობრივი პროგრამების ნაკლებობა:** მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდულ პროგრამებში აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სახის აქტივობა, მათ შორის, არაფორმალური განათლება, სპორტის ხელშეწყობა, მეწარმეობის განვითარება და დასაქმების უნარების გაძლიერება, არცერთ პროგრამაში არ არის NEET ახალგაზრდები დასახელებული, როგორც სამიზნე ჯგუფი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მუნიციპალური პროგრამები ძირითადად ორიენტირებულია ზოგადად ახალგაზრდების საჭიროებებზე და არ ითვალისწინებს NEET ახალგაზრდების სპეციფიკურ საჭიროებებს.
- **მონაცემების ნაკლებობა:** მუნიციპალიტეტების უმეტესობა არ ახორციელებს NEET ახალგაზრდების აღრიცხვას. გამოგზავნილ საპასუხო წერილებში სულ სამ მუნიციპალიტეტს აქვს მითითებული NEET ახალგაზრდების რაოდენობა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტების უმრავლესობისთვის შეუძლებელია ამ ეტაპზე NEET ჯგუფის პროგრამებში ჩართულობის შეფასება, რაც ართულებს მათი საჭიროებების ეფექტურად გატარებას და მონიტორინგს.
- **საჭიროებების იდენტიფიცირების სირთულეები:** მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდების საჭიროებების იდენტიფიცირება სხვადასხვა მეთოდებით ხორციელდება, რაც მიუთითებს ერთგვაროვანი მიდგომების ნაკლებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტი აწარმოებს კვლევებს, გამოკითხვებს და დისკუსიებს, დაახლოებით ნახევარში მსგავსი აქტივობები არ ხორციელდება, რაც ართულებს მათთვის შესაფერისი პროგრამების შემუშავებას.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, საჭიროა უკეთესი მონიტორინგისა და კვლევითი მექანიზმების დანერგვა, რაც საერთო იქნება ყველა მუნიციპალიტეტისთვის და რაც NEET ახალგაზრდების იდენტიფიცირებასა და მათზე მორგებული პროგრამების შემუშავებას უზრუნველყოფს. მუნიციპალიტეტებს სჭირდებათ ფოკუსირება ამ ჯგუფის საჭიროებებზე, რათა მათი ჩართვა და გაძლიერება მოხდეს მუნიციპალური პოლიტიკის ფარგლებში.

## ძირითადი აქტორების/ დაინტერესებული მხარეების აღწერა

**1.NEET ახალგაზრდები:** ამ ჯგუფში შედიან 15-29 წლის ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან განათლების, დასაქმების ან ტრენინგის პროცესში ჩართულები. მათი საჭიროებები მოიცავს საგანმანათლებლო, დასაქმების, პირადი განვითარების და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სფეროებს.

**2.მუნიციპალიტეტის ხელისუფლება:** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პასუხისმგებელნი არიან ახალგაზრდული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე.

**3.სოციალური მომსახურების წარმომადგენლები:** პროფესიონალები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ახალგაზრდების საჭიროებების შეფასებასა და შესაბამისი მომსახურების გაწევაზე.

**4.არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO):** ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს და პროგრამებს NEET ახალგაზრდების მხარდასაჭერად.

**5.საგანმანათლებლო დაწესებულებები:** სკოლები, პროფესიული სასწავლებლები, უნივერსიტეტები, ტრენინგების მიმწოდებლები.

**6.კერძო ბიზნესი:** მეწარმეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ახალგაზრდა სამუშაო ძალით.

**7.თემის წარმომადგენლები:** ადგილობრივი თემები და საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც შეიძლება იყვნენ დაინტერესებულნი NEET ახალგაზრდების საჭიროებებისა და მათი მხარდაჭერის გზების საკითხით.

*სქემა 1. დაინტერესებული მხარეების გავლენა/ინტერესის მატრიცა*



## ალტერნატივების ანალიზი

NEET ახალგაზრდებისთვის ეფექტური ინტერვენციები არსებობს, რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართვას საგანმანათლებლო აქტივობებში, მათ დასაქმებას და ინტეგრაციას საზოგადოებაში. NEET ახალგაზრდებზე მორგებული მუნიციპალური პროგრამების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია შემდეგი სამი ალტერნატივის განხილვა:

1. ახალგაზრდული გარანტიის პროგრამა;
2. სწავლის მოქნილი პროგრამა;
3. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება.

**I ალტერნატივა - ახალგაზრდული გარანტიის პროგრამა** (Youth guarantee. European Commission. (n.d.)) არის ევროკავშირის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს 15-დან 29 წლამდე ახალგაზრდებს შესთავაზოს მუშაობის, სწავლების ან პროფესიული ტრენინგის შესაძლებლობა განათლების დასრულების ან უმუშევრად დარჩენის შემდეგ მაქსიმუმ 4 თვის განმავლობაში. პროგრამა 2013 წელს ევროპის საბჭოს რეკომენდაციით ამოქმედდა და მიზნად ისახავდა ადამიანური კაპიტალის ინვესტიციების უკუგების (ROI) მაქსიმიზაციას, იმის გაცნობიერებით, რომ დროული ჩარევა აუცილებელია ახალგაზრდების შრომის ბაზრიდან გრძელვადიანი გათიშვის თავიდან ასაცილებლად. მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ახალგაზრდების გარანტიის ზომებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, რაც 2014 წლიდან NEET ახალგაზრდების წილის შესამჩნევ შემცირებას უკავშირდება (De Luca et al., 2019). მაგალითად: 2014-დან 2020 წლამდე პერიოდში ავსტრიაში NEET რაოდენობა შემცირდა 9%-დან 6%-მდე, რაც ძირითადად დაკავშირებულია ახალგაზრდული გარანტიის პროგრამის მიზნობრივი ღონისძიებების ეფექტურ განხორციელებასთან.

პროგრამის მიმართულებებია განათლება და დასაქმება. აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამს ადგილობრივ ხელისუფლებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას. ეს სამმხრივი მიდგომა გადამწყვეტია ეფექტური მხარდაჭერის სისტემების შესაქმნელად, რომლებიც ქმედითად პასუხობენ NEET ახალგაზრდების წინაშე მდგარ მრავალფეროვან გამოწვევებს. ადგილობრივი მთავრობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების იდენტიფიცირებასა და სერვისების კოორდინაციაში, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფენ აუცილებელ ტრენინგს და უნარების განვითარებას ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ბიზნესი ხელს უწყობს სტაჟირების და სამუშაო ადგილების შეთავაზებით, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდების პრაქტიკულ გამოცდილებას. პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს პერსონალიზებულ მხარდაჭერას ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით, რაც აუცილებელია NEET ახალგაზრდების წინაშე მდგარი მრავალფეროვანი გამოწვევების გადასაჭრელად. ამასთანავე, ხელს უწყობს თანამშრომლობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, მათ შორის ადგილობრივ მთავრობებს, ბიზნესებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, რამაც შეიძლება გაზარდოს პროგრამის ეფექტურობა. მორგებული ინტერვენციები აუცილებელია ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორიცაა შშმ ახალგაზრდები ან ეკონომიკურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები. 2020 წლის ოქტომბერში ევროკავშირმა განაახლა პროგრამა, „ახალგაზრდობის გაძლიერებულმა გარანტიამ“ გააფართოვა თავისი აქცენტი ამ ჯგუფების ჩათვლით, რაც აძლიერებს მის ინკლუზიურობას.

პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა რესურსები, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალიზებული მხარდაჭერა, ტრენინგები და დასაქმების შესაძლებლობები. გარდა ამისა, სირთულეს შესაძლოა წარმოადგენდეს მრავალ დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობა, როგორიცაა ადგილობრივი მთავრობები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და ბიზნესი. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ბიუროკრატიულ სირთულეებს რესურსების მენეჯმენტის და ეფექტური კომუნიკაციის ნაკლებობის გამო.

**II ალტერნატივა - სწავლის მოქნილი პროგრამა (FLO)** (Flexible learning options (FLO) and enrolment. South Australian Government. (n.d.).), რომელიც ფოკუსირებულია NEET ახალგაზრდების ხელახლა ჩართულობაზე ალტერნატიული განათლების გზებისა და პერსონალიზებული მხარდაჭერის მეშვეობით. განათლებისა და სწავლების ასეთი მიდგომები ადაპტირებულია სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებთან და პირობებთან, რაც მათ საშუალებას აძლევს სწავლა მოარგონ თავიანთი ცხოვრების წესს, შეუთავსონ სამუშაოს ან სხვა პირად ვალდებულებებს. აღნიშნული ალტერნატივა მიზნად ისახავს სწავლების პროცესის მაქსიმალურ მოქნილობას, რათა ხელი შეუწყოს სწავლაში ჩართულობას და გააუმჯობესოს განათლების ხელმისაწვდომობა.

მიდგომა ითვალისწინებს განათლების ალტერნატიული მოდელების შექმნას - როგორიცაა პროფესიული სწავლება, სათემო პროექტები და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება; პერსონალიზებული სასწავლო გეგმების შემუშავებას, რომლებიც მორგებულია თითოეული ახალგაზრდის ინტერესებსა და კარიერულ მიზნებზე; ჰოლისტიურ მხარდაჭერას, რაც მოიცავს კონსულტაციას, მენტორობას და ცხოვრებისეული უნარების ტრენინგს.

პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს მოქნილი სასწავლო პროგრამების დანერგვას, ალტერნატიული საგანმანათლებლო გზებისა და პროფესიული სწავლების პროგრამების შემუშავებას, რომლებიც შეესაბამება ადგილობრივ სამუშაო ბაზრის საჭიროებებს, განსაკუთრებით სოფლად და დაუცველ რაიონებში. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს სოფლად ცენტრების შექმნას, სადაც NEET ახალგაზრდებს შეეძლებათ მიიღონ განათლება და მხარდაჭერა უფრო არაფორმალურ და მხარდამჭერ გარემოში.

ამ ტიპის პროგრამები, როგორც წესი, პარტნიორობენ ადგილობრივ ორგანიზაციებთან და ბიზნესებთან, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მიიღონ პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება. ასეთი პროგრამები მოიცავს სტაჟირებებს, სამუშაო ადგილზე ტრენინგს და ვიზიტებს რეალურ სამუშაო გარემოში.

აღწერილი ალტერნატივის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ფინანსური რესურსების საჭიროება. პროგრამის განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს. პერსონალიზებული მხარდაჭერა, როგორიცაა მენტორობა, კონსულტაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ზრდის დანახარჯებს. გარდა ამისა, სოფლად საგანმანათლებლო ცენტრების შექმნა და მათი შენახვა შეიძლება დიდ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში. ამასთანავე, სოფლად და დაუცველ რაიონებში შეიძლება იყოს შეზღუდული ინფრასტრუქტურა, როგორც ტექნიკური (ინტერნეტი, ელექტროენერგია), ისე ადამიანური (კვალიფიციური მასწავლებლებისა და მენტორების ნაკლებობა). ეს კი ხელისშემშლელი ფაქტორია პროგრამის სრულად განხორციელების თვალსაზრისით.

**III ალტერნატივა - ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება.** ახალგაზრდული მუშაკების როლი მეტად ფოკუსირებული უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციების ხელშეწყობაზე. მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდული მუშაკები არსებით როლს ასრულებენ NEET ახალგაზრდების პრობლემის გადაჭრის პროცესში, რადგან ისინი უშუალოდ მუშაობენ მათთან, უზრუნველყოფენ მათ სხვადასხვა რესურსთან ხელმისაწვდომობით.

მათი ინტერვენცია მიზნად ისახავს NEET ახალგაზრდების ინტეგრაციას საზოგადოებაში და მათი პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ახალგაზრდული მუშაკების ინსტიტუტი უკვე არის დანერგილი სხვადასხვა მუნიციპალიტეტში.

პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია განათლების სისტემასთან ერთობლივად მუშაობა სწავლის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების ადრეულად გამოსავლენად, რათა დროულად იქნას მიღებული პრევენციული ზომები მათ მიერ სწავლისთვის თავის დანებების შემთხვევების მაქსიმალურად შესამცირებლად; რეფერალური სისტემების გაძლიერება – სასწავლებლებთან მუშაობა სწავლის მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების ხელახლა ჩარიცხვის ან ალტერნატიული სასწავლო პროგრამების შერჩევაში დახმარების მიმართულებით; დამსაქმებლების ხელშეწყობის პროგრამების ინიცირება – ფინანსური წახალისებისთვის (გრანტების მოპოვების ხელშეწყობა ან სუბსიდირება) წინადადებების მომზადება ისეთი კომპანიებისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ NEET სტატუსის მქონე ახალგაზრდებს დააგროვონ სამუშაო გამოცდილება ან ჩართონ კომპანიის კვალიფიკაციის ამაღლების შიდა ტრენინგ-მოდულებში; მოთხოვნადი უნარების ანალიზი – თანამშრომლობა ბიზნესებთან, რათა გამოავლინონ ადგილობრივი უნარების ნაკლებობა და დააზუსტონ, რამდენად შეესაბამება არსებული სასწავლო პროგრამები ინდუსტრიის რეალურ საჭიროებებს. ახალგაზრდულ მუშაკებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ კომპანიების დაკავშირებას ტრენინგ პროვაიდერებთან, რომლებსაც თავის მხრივ ძალუძთ NEET ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლება.

აღწერილი ალტერნატივის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ქსელის და რესურსების შეზღუდულობა: ახალგაზრდული მუშაკები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ხშირად მუშაობენ შეზღუდული რესურსებით, განსაკუთრებით სოფლად ან სოციალურად დაუცველ რეგიონებში. საკმარისი დაფინანსებისა და მხარდაჭერის გარეშე, მათ არ აქვთ საჭირო რესურსები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ ეფექტიან მუშაობას და ხელს უშლის პროგრამის წარმატებას. გარდა ამისა, ახალგაზრდული მუშაკების პროფესიული დონე და კვალიფიკაცია შესაძლოა განსხვავდებოდეს რეგიონების მიხედვით, რაც იწვევს უთანაბრობას ხარისხიანი სერვისების მიწოდებაში. ამასთანავე, მუნიციპალურ და საგანმანათლებლო სისტემებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რაც აუცილებელია რეფერალური სისტემების გაძლიერებისა და ახალგაზრდების ჩართულობისთვის, შეიძლება შეფერხდეს ბიუროკრატიული სირთულეების გამოც. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებების მიღება, რესურსების გადანაწილება და სერვისების განხორციელება შეიძლება დროში გაჭიანურდეს.

**გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები საუკეთესო ალტერნატივის არჩევისთვის:**

NEET ახალგაზრდების პრობლემის მოსაგვარებლად საუკეთესო ალტერნატივის შესაფასებლად ჩატარდა მულტიფაქტორული ანალიზი (იხ. ცხრილი 1) შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- **ეფექტურობა** – NEET ახალგაზრდების რაოდენობის შემცირების შესაძლებლობა და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა განათლებაში/დასაქმებაში;
- **განხორციელებადობა** – განხორციელების შესაძლებლობა მუნიციპალური და ეროვნული რესურსებით;
- **გავრცელებადობა** – სხვადასხვა მუნიციპალიტეტისა და სოციალური ჯგუფების საჭიროებებზე ადვილად მორგების/ადაპტაციის შესაძლებლობა;
- **მდგრადობა** – NEET ახალგაზრდებზე გრძელვადიანი დადებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა;
- **ინკლუზიურობა** – მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობა;
- **დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა** – ადგილობრივი მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ტრენინგების პროვაიდერების, კერძო ბიზნესისა და სათემო ჯგუფების მხარდაჭერა.

თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს წონა (პროცენტული წილი) მათი მნიშვნელოვნების შესაბამისად. (იხ. ცხრილი 1).

*ცხრილი 1: მულტიფაქტორული ცხრილი ალტერნატივებისთვის.*

| კრიტერიუმი | კრიტერიუმის წონა | ალტერნატივა | | |
|---|---|---|---|---|
| | | ახალგაზრდული გარანტიის პროგრამა (ქულა 1-5) | სწავლის მოქნილი პროგრამა (ქულა 1-5) | ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი (ქულა 1-5) |
| ეფექტურობა | 10% | 5 | 4 | 3 |
| განხორციელებადობა | 20% | 4 | 2 | 3 |
| გავრცელებადობა | 15% | 5 | 2 | 3 |
| მდგრადობა | 25% | 5 | 4 | 3 |
| ინკლუზიურობა | 15% | 5 | 5 | 3 |
| დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა | 15% | 5 | 3 | 5 |
| სულ ქულები | - | 480 | 330 | 330 |

აღწერილი პრობლემის გადასაჭრელად შემოთავაზებული ალტერნატივებიდან საუკეთესოა **I - ახალგაზრდობის გარანტიის განხორციელება.**

ახალგაზრდული გარანტიის პროგრამამ უმაღლესი ქულა მიიღო ყველა კრიტერიუმში, რაც განაპირობებს მის არჩევას NEET ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების გადასაჭრელად. ეს პროგრამა უზრუნველყოფს პრობლემის მრავალმხრივ გადაწყვეტას და პასუხობს NEET ახალგაზრდების მთავარ გამოწვევებს - განათლებას, დასაქმებას და სოციალურ ინკლუზიას.

**საუკეთესო ალტერნატივის აღწერა და დანერგვა:**

ახალგაზრდული გარანტიის პროგრამა განხორციელდება საქართველოში 14-29 წლის NEET ახალგაზრდებისთვის და მოიცავს ისეთ მომსახურებებს, როგორიც არის: კარიერული კონსულტაცია, დასაქმება, პროფესიული სწავლება, არაფორმალური განათლების ტრენინგები, სტაჟირება და მხარდაჭერის მომსახურებები. მუნიციპალიტეტები იქნებიან პირველადი განმახორციელებელი ორგანოები, რომლებიც ითანამშრომლებენ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო სექტორთან.

**მიზანი**: NEET ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება, რათა გაიზარდოს მუნიციპალური პროგრამების და ახალგაზრდული სტრატეგიების ეფექტურობა.

*ცხრილი 2: უმჯობესი/უპირატესი ალტერნატივის განხორციელების სტრატეგიის მონახაზი განტის სქემის მიხედვით.*

| ამოცანა | თვე 1-3 | თვე 4-6 | თვე 7-9 | თვე 10-12 | წელი 2 |
|---|---|---|---|---|---|
| დაინტერესებული მხარეების ჩართულობა | X | | | | |
| პროგრამის დიზაინის შემუშავება | X | X | | | |
| საპილოტე პროგრამის განხორციელება შერჩეულ მუნიციპალიტეტებში | | X | X | | |
| განახლებული პროგრამის განხორიცელება ყველა მუნიციპალიტეტში | | | X | X | X |
| მუნიციპალიტეტებისთვის ტრენინგი და შესაძლებლობების გაზრდა | X | X | X | | |
| პროგრამის მონიტორინგი და შეფასება | | | X | X | X |

**მონიტორინგისა და შეფასების გეგმა**

ინდიკატორები:

- NEET ახალგაზრდების წილი, რომლებიც საქმდებიან ან ერთვებიან საგანანმანათლებლო პროცესში;
- მონაწილეთა კმაყოფილების მაჩვენებელი;
- მუნიციპალიტეტების ჩართულობის დონე და პროგრამის შესრულების ხარისხი.

ინსტრუმენტები:

- პროგრამის მონაწილეთა და მუნიციპალური დაინტერესებული მხარეების კვარტალური გამოკითხვები;
- მონაცემთა შეგროვება მუნიციპალური ანგარიშგების სისტემებით;
- დამოუკიდებელი შეფასება ყოველ ექვს თვეში ერთხელ (პროგრეს ანგარიში).

**რისკების მართვა და შეზღუდვები**

**რისკები:**

- ყველა მუნიციპალიტეტს შესაძლოა არ ჰქონდეს საკმარისი რესურსი ან გამოცდილება იმისათვის, რომ განახორციელოს ისეთი რთული პროგრამები, როგორიცაა ახალგაზრდული გარანტია.
- კერძო სექტორის წარმომადგენელებმა შესაძლოა არ მიიღონ მონაწილეობა არაკვალიფიციური NEET ახალგაზრდების დასაქმების ან გადამზადების პროცესში.
- NEET ახალგაზრდების ზუსტი იდენტიფიცირება და მონიტორინგი შესაძლოა გართულდეს გამართული მეთოდოლოგიის და მექანიზმების არ არსებობის გამო.

**რისკის შემცირების გეგმა:**

- საქართველოს მთავრობის კოორდინირებული ძალისხმევის შედეგად მუნიციპალიტეტებისთვის შესაძლებლობების განვითარება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების წვდომას შესაბამის რესურსებსა და ტრენინგებზე.
- საქართველოს მთავრობის მიერ კერძო სექტორის იმ წარმომადგენლების წახალისება საგადასახადო შეღავათებით ან სუბსიდიებით, რომლებიც ასაქმებენ ან ასწავლიან NEET ახალგაზრდებს.
- საქართველოს სტატისტიკის სამსახურთან თანამშრომლობით შესაბამისი მეთოდოლოგიის და მექანიზმების შემუშავება.

**ადვოკატირებისა და კომუნიკაციის სტრატეგია**

- პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით ჩატარდება საკონსულტაციო შეხვედრები, სამუშაო შეხვედრები და საჯარო ფორუმები ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო სექტორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მონაწილეობით.
- საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდება NEET ახალგაზრდებთან, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ პროგრამის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდება კამპანიები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სოციალური მედიის გამოყენებით.
- აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის მომზადდება პოლისი ბრიფები და ჩატარდება შეხვედრები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი მხარდაჭერა.

*ცხრილი 3: ადვოკატირებისა და კომუნიკაციის სტრატეგიის მონახაზი განტის სქემის მიხედვით.*

| ამოცანა | თვე 1-2 | თვე 3 | თვე 4 | თვე 5 | თვე 6 |
|---|---|---|---|---|---|
| საჯარო კონსულტაციები | X | | | | |
| საკონსულტაციო შეხვედრები NEET ახალგაზრდებთან | | X | | | |
| საინფორმაციო მედია-კამპანია | X | X | X | | |
| აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის პოლისი ბრიფები მომზადება | | | X | X | |
| აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრების ჩატარება | | | | | X |

ახალგაზრდული გარანტიის პროგრამის განხორციელებით საქართველოს შეუძლია დააკმაყოფილოს NEET ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები, შეამციროს უმუშევრობა და ხელი შეუწყოს გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

## დასკვნა და რეკომენდაციები

პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგანან NEET ახალგაზრდები საქართველოში. კვლევის შედეგების თანახმად, მხოლოდ 15 მუნიციპალიტეტს (მუნიციპალიტეტების 24%) აქვს შემუშავებული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ არსებული დოკუმენტები ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას NEET ახალგაზრდების საჭიროებებზე. გარდა ამისა, არ არსებობს მონაცემთა შეგროვების გამართული მეთოდოლოგია და მექანიზმები, რაც ართულებს სიტუაციის ყოვლისმომცველ შეფასებას და ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას. NEET ახალგაზრდები, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალები, განიცდიან მნიშვნელოვან ბარიერებს განათლების მიღების, დასაქმებისა და სოციალურ ინტეგრაციის მიმართულებით.

NEET ახალგაზრდებისთვის მიზანმიმართულ პოლიტიკაში ინვესტირება აუცილებელია რათა უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების ეკონომიკური და სოციალური ინკლუზია და ასევე, ხელი შეუწყოს გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას. ევროკავშირის ქვეყნებში ახალგაზრდული გარანტიის პროგრამების წარმატების გათვალისწინებით, საქართველოში ახალგაზრდული გარანტიის პროგრამის ადაპტირება და განხორციელება უზრუნველყოს NEET ახალგაზრდების რაოდენობის მკვეთრ შემცირებას და მათი გრძელვადიანი განვითარების ხელშეწყობას.

**პოლიტიკის რეკომენდაციები**

- ევროკავშირის ახალგაზრდული გარანტიის პროგრამის ქართულ კონტექსტზე ადაპტირება და განხორციელება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების კოორდინირებული ძალისხმევის შედეგად, რაც უზრუნველყოფს 29 წლამდე ასაკის NEET ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი განათლების, ტრენინგების ან დასაქმება/სტაჟირების შესაძლებლობის შეთავაზებას მათი უმუშევრად დარჩენის ან განათლების დასრულებიდან მაქსიმუმ ოთხი თვის მანძილზე.
- მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და განახორციელოს ეროვნულ მიზნებთან და ადგილობრივ საჭიროებებთან შესაბამისი მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, რომელიც ფოკუსირებული იქნება NEET ახალგაზრდების კონკრეტულ საჭიროებებზე და მოიცავს მონაცემთა შეგროვებისა და მონიტორინგის ეფექტურ ინსტრუმენტებს.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლობის შედეგად, არაფორმალური განათლებისა და მობილური ახალგაზრდული მუშაკების პროგრამების ფართოდ გავრცელება, რაც NEET ახალგაზრდებს მისცემს შესაძლებლობას განავითარონ უნარები ფორმალური განათლების მიღმა. ეს პროგრამები ფოკუსირებული უნდა იყოს როგორც გამჭოლი უნარების განვითარებაზე, ასევე, ხელს უნდა უწყობდეს ბენეფიციარების მენტალურ ჯანმრთელობას, მათ თვითშეფასების და მოტივაციის ამაღლებას.

- საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სექტორთა შორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძო და საჯარო სექტორს შორის უფრო ძლიერი თანამშრომლობას, რის შედეგადაც შეიქმნება უფრო მეტი შესაძლებლობები NEET ახალგაზრდების დასაქმებისა და განათლებისთვის.

# ბიბლიოგრაფია


1. ახალგაზრდობის სააგენტო. (2021). მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკა.
2. გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs). (n.d.). https://sdgs.un.org/goals
3. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. Matsne.ge. https://matsne.gov.ge [1]
4. საქართველოს მთავრობა. (2022). სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ისა და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5675992?publication=0
5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. (n.d.). სოციალურად დაუცველი პირების დახმარების პროგრამა. https://www.moh.gov.ge/prime.php?lang=1&uid=20230829000032146894567 3
6. ყურაშვილი, ლ. (2023). საქართველოს შრომის ბაზარზე ახალგაზრდების უმუშევრობის დონე. IDFI. https://idfi.ge/ge/the_youth_unemployment_rate_in_georgia_s_labor_market
7. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (n.d.). https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
8. ჭეიშვილი, რ., & გოგოლაძე, ნ. (2020). ახალგაზრდობის ინდექსი, საქართველო. UNFPA.
9. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (CM/Rec(2015)3) Access of young people from disadvantaged neighborhoods to social rights. (2015). https://rm.coe.int/168066671e
10. Development Analytics. (n.d.). Public Policies to Address the Problem of NEET Youth. https://www.developmentanalytics.org/public-polices
11. Elder, S., & O'Higgins, N. (2023). Has youth employment recovered? ILO Brief. International Labour Organization. https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@ed_emp/documents/publication/wcms_885192.pdf
12. Eurofound. (2016). Exploring the diversity of NEETs. Publications Office of the European Union. https://www.eurofound.europa.eu/publications/report/2016/labour-market-social-policies/exploring-the-diversity-of-neets
13. European Commission. (n.d.). The reinforced Youth Guarantee. https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1079&langId=en
14. European Training Foundation. (2021). GEORGIA: Education, Training and Employment Developments 2021. https://www.etf.europa.eu/sites/default/files/document/CFI_Georgia_2021.pdf
15. Friedrich Ebert Stiftung. (2020). ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე: იმერეთი და თბილისი. https://una.ge/Youth_Centers?lang=ge
16. International Youth Foundation. (2017). Global Youth Wellbeing Index. https://iyfglobal.org/library/2017-global-youth-wellbeing-index
17. Paabort, H., Flynn, P., Beilmann, M., & Petrescu, C. (2023). Policy responses to real world challenges associated with NEET youth.
18. Ruhl, C. (2023). Why youth NEETs are on the rise worldwide: The mental health and cost of living crises. Global Affairs. https://globalaffairs.org/bluemarble/why-youth-neets-rise-worldwide-mental-health-cost-of-living
19. South Australia Department for Education. (n.d.). Flexible learning options (FLO). https://www.education.sa.gov.au/
20. The World Bank. (2022). GEORGIA: Human Capital Review. International Bank for Reconstruction and Development / The World Bank. https://documents1.worldbank.org/curated/en/099435008172221325/pdf/P1735300c417d2026096d50dd8d8218cd90.pdf
21. Youth 2030: The United Nations Youth Strategy. (n.d.). https://www.un.org/youthenvoy/youth-un/




*[1] საქართველოს მუნიციპალიტეტების საკრებულოს დადგენილებები 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.*

## დანართი 1: დიაგრამები

*დიაგრამა 1: 15-29 წლის NEET ახალგაზრდების პროცენტული წილი (%)*




**წყარო:** საქსტატი, სამუშაო ძალის გამოკვლევა, 2024 წ. [1]

*დიაგრამა 2: ახალგაზრდა მოსახლეობა ძირითადი ეკონომიკური აქტივობის სტატუსისა და შემოსავლის დონის მიხედვით, 2019 და 2022 წლები (%)*




**შენიშვნა:** სამივე კატეგორია არის ექსკლუზიური, ამიტომ ახალგაზრდა, რომელიც მიკუთვნებულია კატეგორიას "განათლებაში ან ტრენინგში ჩართული", არ არის დაკავშირებული დასაქმებასთან; საქართველო მიეკუთვნება საშუალოზე მაღალი შემოსავლის ეკონომიკის მქონე ქვეყნებს.

*[1]* საქსტატი, ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს *(NEET)*, სქესის მიხედვით: *https://geostat.ge/media/62284/14-NEET.xlsx*

**წყარო**: ILOSTAT, ნოემბერი, 2022 წ.

## დანართი 2. საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან მიღებული კვლევისას გამოყენებული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია 2021-2024“ და მისი განხორციელების 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა;
2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სტრატეგია (2023-2026)“ და მისი განხორციელების 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა;
3. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია )2023-2026 წწ)“ და მისი განხორციელების 2024 წლის სამოქმედო გეგმა;
4. „დმანისის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია 2021-2023“ და მისი განხორციელების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა;
5. „გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი 2022-2026“;
6. „საჩხერის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა“
7. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2021-2024 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“
8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია“ და „ქუთაისის ახალგაზრდული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2022-2024“;
9. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია 2022-2024“ და მისი განხორციელების 2024 წლის სამოქმედო გეგმა;
10. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის 2023-2026 წლის სტრატეგია და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმა“